სამშობლო

№ 45 (72) ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი 7 ნოემბერი, 1943 წ.

სამშობლოს დროშით

ქართველი ხალხი ძველთაგანვე ცნობილია სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის შეუპოვარ მებრძოლად. დიადი საკაცობრიო იდეალები მხურვალე გამოხმაურებას ჰპოულობდნენ და ფრთას შლიდნენ ქართულ მიწაზე, რომლის საუკეთესო შვილთა ჭეშმარიტი მისწრაფება ყოველთვის იყო ნაციონალური, დამოუკიდებელი ცხოვრების აშენებისათვის თავგანწირული ბრძოლა, მამულიშვილური მოღვაწეობა.

ბოლშევიკებმა ჩინური კედლით მოსწყვიტეს საქართველო კულტურულ კაცობრიობას, შეჰბოჭეს ლაღი ქართული აზრი, მაგრამ მაინც ვერ შესძლეს ჩვენი ეროვნული გრძნობის ამოშრეტა, სულიერი რაობის აღმოფხვრა. დღეს, როცა გერმანელი ხალხის მეთაურობით ევროპის ახალგაზრდა ერები იბრძვიან ახალი საზოგადოებრივი წესრიგისათვის და ანადგურებენ კაცჭამია ბოლშევიზმს, ქართველი ახალგაზრდობის წინაშე ცხოვრებამ დააყენა პასუხსაგები ისტორიული ამოცანა — მონახოს თავისი ადგილი ამ სამართლიან ომში, აღმართოს ეროვნულ განმანთავისუფლებელი ბრძოლის დროშა და ისე როგორც წარსულში ეხლაც იბრძოლოს სამართლიანობისათვის, ნაციონალური უფლების აღდგენისათვის.

ქართველი ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილმა, რომელიც ნაციონალურად აზროვნებდა და განიცადა ბოლშევიზმის სატანური საშინელებანი, სწრაფად მონახა ერთადერთი სწორი გზა, მივიდა გერმანელ ჯარისკაცთან მასში იპოვა მეგობარი და შეჰფიცა ერთგულება. ბოლშევიზმის დამხობა იყო და არის ჩვენი ხალხის, მამების, ძმების, დედების, დების, ცრემლნი ოჯახების სანუკვარი ოცნება, ეროვნული ჩაგვრის მძიმე უღელის გადაგდება იყო და არის ბრძოლის ცეცხლი, რომელსაც ასე დაატარებდნენ გულში ამ საქმისათვის გმირულად დაღუპულნი ჩვენი თანამემამულენი, ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ვინ იცის რამდენი მგზნებარი პატრიოტი შეეწირა მსხვერპლად მამულს! ამიტომ ჩვენი ახალგაზრდობის მეგობრობა საბედისწერო ჟამს გერმანელ ჯარისკაცთან და ამით მთელ გერმანელ ხალხთან, რომელიც ასე რაინდულად იბრძვის ბოლშევიკური საშინელებათა წინააღმდეგ, შემთხვევითი არ არის.

ამ მეგობრობამ გვაჩვენა თავისი ბრწყინვალე ნაყოფი. მებრძოლმა ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა ამ მეგობრობის შეურყევლობა. ქართველი ლეგიონერი ახალგაზრდობა განუხრელად მიჰყვება მის მიერ არჩეულ გზას და სწამს გამარჯვება.

ამჟამად მეტად რთული სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის დროს ჩვენთვის აუცილებელია გავითვალისწინოთ ბრძოლის განსაკუთრებული პირობები. თვითეულ ჩვენგანს კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ ეხლა ჩვენი ქართული საქმე არ შეიძლება განვიხილოთ როგორც კერძო, ნაციონალური საქმე. ქართული საველე ათასეულები დღეს იბრძვიან სტალინისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. თუ ჩვენ გვინდა და როგორც ჯარისკაცები მოვალენი ვართ წმინდათ უნდა შევასრულოთ მიღებული ფიცი, ვიბრძოლოთ ყველგან საცა ამას საჭიროება მოითხოვს. დე, იმ ქვეყნების ხალხებმა, რომელთა მიწაზედაც უხდებათ ბრძოლა ქართველ ლეგიონერებს იცოდნენ, რომ ქართველები იბრძვიან რა თავისი სამშობლოს განთავისუფლებისათვის, იბრძვიან საერთო საკაცობრიო საქმისათვის.

თვითეული ქართველი ლეგიონერისათვის ანბანური ჭეშმარიტებაა ის გარემოება, რომ ვიდრე იარსებებს ბოლშევიზმი და საერთაშორისო პლუტოკრატია მშრომელი ხალხის სისხლით გასუქებული, ვერ განხორციელდება სანუკვარი ოცნება — სამშობლოს ეროვნული მონობისაგან განთავისუფლება. ამიტომ ჩვენ, რომელთაც მოგვაქვს ჩვენი ხალხისათვის ნაციონალური რევოლუცია პირველ რიგში გვიხდება ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში უნდა გავიმარჯვოთ გერმანელ ხალხთან ერთად, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განვაგრძოთ ჩვენი შინაური საქმე.

სამშობლოს დროშით გავიდნენ ჩვენი მებრძოლი რაზმები ახალი მსხვერპლის გასაღებათ, ამ დროშას ჩვენ არ დავხრით ძირს ერთი წუთითაც კი. დე, მთელმა მსოფლიომ იცოდეს, რომ ქართველი ახალგაზრდობა გერმანელ ჯარისკაცთან ერთად საკუთარი სისხლით უყრის საძირკველს მშობლიური ერისა და მთელი კაცობრიობისათვის სასახელო საქმეს, ასრულებს უწმინდესს სამღვთო ვალს.

ეხლა როცა ვიმყოფებით ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპზე, საჭირო არ არის გამოვიდევნოთ წვრილმანებს, ენერგია და შემოქმედებითი აღგზნება მოვახმაროთ შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვან საქმეებს, რომლებიც გადაწყდება და მოგვარდება თავის დროზე. **მთავარი უკვე ხელთა გვაქვს — ესაა სამშობლოს დროშა, მებრძოლი მეგობრობა და დიადი ნდობა.**

ქართველი ლეგიონერი ახალგაზრდობა, რომელმაც არაერთგზის დაამტკიცა ბრძოლის უნარიანობა და თავგანწირვა, კვლავ გამოიჩენს ჩვეულ მებრძოლ პატრიოტიზმს. **თვითეული ჩვენგანის გულში ვით ნაღვერდალი ღვივის გამარჯვების უქრობი რწმენა და იმის მაღალი შეგნება, რომ ჩვენს ბრძოლას ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ვსწერთ ახალ ისტორიულ თავგადასავალს ერის ცხოვრებაზე, ჩვენ მოგვაქვს ჩვენი ხალხისათვის ნაციონალური თავისუფლება.**

დე, ძრწოდნენ მტრები ქართველი და გერმანელი მებრძოლების შეურყეველი მეგობრობით! დე, იცოდნენ ბოლშევიკებმა, კაპიტალისტებმა და ყველა ჯურის მძარცველებმა, რომ ვერავითარი პროვოკაცია და ძალა ვერ შეარყევს ამ მეგობრობას.

ქართველი მებრძოლი ახალგაზრდობა აღჭურვილია გამარჯვებისათვის საჭირო რწმენით. ბრძოლა — აი ჩვენი ერთადერთი გზა. წინ სამშობლოს დროშით მამულისა და საერთო მტრების წინააღმდეგ!

სასჯელი - იტალიის გამყიდველთ

მინისტრთა საბჭოს პლენარულ სხდომის, რომელსაც თავმჯდომარეობდა მუსოლინი, ახალი დადგენილებით, ფაშისტური რეჟიმის გამყიდველები და ცილისმწამებლები მკაცრად იქნებიან დასჯილნი.

ოფიციალურ კომენტარიაში აღნიშნულია, რომ 25 ივლისის სახელმწიფოებრივი გადატრიალება წარმოადგენს უდიდესს გამცემლობას იტალიის ისტორიაში. თვითეულ დიდ ქალაქში დაარსდება საგანგებო სასამართლო, რომლის მიზანია იმ ფაშისტების დასჯა, რომელთაც დაარღვიეს თავიანთი ფიცი ფაშიზმის იდეებისადმი. გასამართლებულნი იქნებიან აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც 25 ივლისის გადატრიალების შემდეგ აშკარად გაექცნენ ფაშიზმს, და ისინი, რომლებიც ებრძოდნენ ფაშიზმს.

ამასთანავე ერთად ჩამოყალიბდება „განსაკუთრებული-საგანგებო სასამართლო“, რომლის წინაშეც პასუხს აგებენ ფაშისტები, რომლებმაც გაჰყიდეს თავიანთი რევოლუციური იდეები დიდი ფაშისტური საბჭოსი, რომელიც შესდგა 24 ივლისს. ფაშიზმის მოღალატენი მკაცრად დაისჯებიან, რეჟიმის ცილისმწამებლებს და ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლის ინციატორთ მიესჯებათ საკატორღო მუშაობა 5—10 წლის ვადით.

რესპუბლიკური-ფაშისტური პარტიის ბოლონის განყოფილება მოითხოვს სასიკვდილო განაჩენს ვიქტორ ემანუილ მესამისა, მარშალ ბდოლიოსა და გამყოდველ გენერალ-ადმირლებისათვის. ყოფილი მეფისა და სავოიის სასახლის წევრთა ქონება კონფისკაციაქმნილი იქნება. დიდი ფაშისტური საბჭოს 18 წევრი, რომელთაც ხმა მისცეს მუსოლინის წინააღმდეგ დაისჯებიან სიკვდილით.

ჰაუპტმანი ვალტერ ნოვოტნი, რომელმაც 250-ე საჰაერო გამარჯვებისათვის ჯილდოთ მიიღო რაინდობის რკინის ჯვარი მორთული მუხის ფოთლით, ხმლებითა და ბრილიანტებით.

ძლიერი კონტრშეტევა

გერმანიის არმიის თავდაცვის ორი პრინციპი. წარმატებითი კონტრშეტევა კრივოი როგთან. ბრძოლა ნოგაისკის მიდამოებში.

გერმანიის არმიის თავდაცვითი ტაქტიკა, აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთ-აღმოსავლეთის უბანზე სადაც ბრძოლა შეუნელებელი სიმძაფრით მიმდინარეობს, ეყრდნობა ორ ძირითად მეთოდს: ძლიერი კონტრშეტევას და გადამლობი ბრძოლების მოწყობას.

კონტრშეტევა სწარმოებს მაშინ, როცა ამის წარმატებით ჩატარებისათვის შექმნილია შესაფერი პირობები. გადამლობი ბრძოლა კი სწარმოებს იქ, სადაც მიმდინარეობს ცვალებადი ბრძოლა და არ არის გამორკვეული საბოლოო შედეგი.

კრივოი როგის ჩრდილოეთით, სადაც ბოლშევიკები დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ ფრონტის ხაზის გარღვევას, გერმანიის ჯარის კონტრშეტევებმა მიაღწიეს ბრწყინვალე შედეგს. გერმანიის კონტრმანევრების წარმატებით ჩატარების შედეგად უკუგდებულია მტრის შემოტევები მდინარე დნეპრის მუხლთან, დნეპროპეტროვსკის სამხრეთ-დასავლეთით და კრემენჩუგის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მტრის შემოტევები უმთავრესად უკუგდებულია გერმანიის არტილერიის ცეცხლით და ავიაციის მოქმედებით.

მძაფრი და ცვალებადი ბრძოლა სწარმოებს ნოგაისკის ველებზე. იმისათვის რათა მიეცა ამ ბრძოლებისათვის გარკვეული სახე, გერმანიის არმიამ გამოჰყო გადამლობი ნაწილები ნოგაისკის ველების ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთის მხრიდან ყირიმის მისასვლელში. ეს გადამლობი ნაწილები ამსხვრევენ საბჭოთა ჯარების ყველა შემოტევას.

ოფიციალური ცნობებით აღმოსავლეთის ფრონტზე, ოქტომბრის განმავლობაში მოსპობილია 2.795 საბჭოთა ტანკი და 1.442 თვითმფრინავი.

სისხლით მოვაჭრენი

რეიტერის სააგენტოს ცნობით, დასრულდა იდენის, ხალის და მოლოტოვის 12 დღიანი თათბირი მოსკოვის კონფერენციაზე. კონფერენციის შესახებ გამოქვეყნებულ ვრცელსა და საერთო ფრაზებით სავსე ოფიციალური კომუნიკეს მიხედვით შესაძლოა გამოვიტანოთ მხოლოდ ერთი დასკვნა: სტალინის პლუტოკრატი მეგობრები მზად არიან ყოველგვარ დათმობაზე წავიდნენ ევროპის ხალხების ხარჯზე. საბჭოთა ჯარისკაცების სისხლით კრემლის მესვეურები ჰყიდულობენ ინგლის-ამერიკელი მძარცველი ვაჭრების გავლენას, ნდობას.

კომუნიკე მთავრდება შემდეგი განცხადებით: „დღისწესრიგში იდგა ყველა განსახილველი საკითხი, რომელიც წამოყენებული იყო სამივე სახელმწიფოს მიერ. ზოგიერთი ამ საკითხისა მოითხოვდა დაუყოვნებლივ გადაწყვეტას, ისინი მიღებულნი იქნენ. რაც შეეხება სხვა საკითხებს მათი პრინციპულად გადაწყვეტის შემდეგ, შემდგომი განხილვისათვის გადაეცა სპეციალურ კომისიებს. დანარჩენი საკითხები გადაწყდა აზრთა გაცვლა-გამოცვლის გზით“.

სამხედრო პრობლემების შესახებ ნათქვამია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრებმა „იხელმძღვანელეს დამსწრე სამხედრო ექსპერტების აზრებით“. რაც შეეხება ევროპის მომავალ მოწყობას ამის შესახებ კომუნიკეში ისე ცოტა რამაა ნათქვამი, რომ ეს გარემოება საგონებელში აგდებს თვით გერმანიის მტრებსაც კი.

სტალინი ილწვის მიაღწიოს მოქმედების სრულ თავისუფლებას. იტალიის შესახებ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ „ბადოლიოს მთავრობა დემოკრატიულ ხასიათს მიიღებს მხოლოდ მაშინ, როცა მასში ჩაბმულნი იქნებიან ყველა ის კლასები, რომლებიც ოპოზიციაში იმოყფებოდნენ ფაშიზმთან“.

ბოლშევიკების მთავარ მოთხოვნილებას კონფერენციაზე შეადგენდა მეორე ფრონტის შექმნა. ინგლის-ამერიკელები ალბად გაიძვერულად კვლავ შეჰპირდნენ სტალინს მეორე ფრონტს. პლუტოკრატებს სურთ მოატყუონ სტალინი, მისცენ მას მთელი ევროპა, რათა ამით შეინარჩუნონ თავიანთი ჯარისკაცების სისხლი. ვინ ვის მოატყუებს ამას მომავალი გვიჩვენებს.

○

ბრძოლა სალომანის კუნძულებზე

იაპონიის ჯარის უმაღლესი სარდლობის ცნობებში აღნიშნულია ბრძოლის ერთობ გამძაფრება კუნძულ ბუუენვილზე. გარდა ამისა, როგორც იტყობინებიან ამერიკელებმა კუნძულ მონოზე გადმოსხეს ძლიერი სამხედრო ძალები. 28 ოქტომბერს ამერიკის 78 ბომბდამშენმა აწარმოა საჰაერო თავდასხმა კუნძულ ბალალზე. იაპონიის საზენიტო არტილერიის მიერ ჩამოგდებულია მტრის 27 თვითმფრინავი.

იაპონიის საზღვაო-საჰაერო შენაერთებმა იერიში მიიტანეს მტრის ესკადრაზე, რომელიც იმყოფებოდა ახალი გვინეის სანაპიროებთან. ესკადრა შესდგებოდა 6 კრეისერისაგან. იაპონელმა მფრინავებმა მძიმედ დააზიანეს მტრის 2 კრეისერი.

დუელი ატლანტიის ოკეანეზე

საზღვაო ომი ატლანტიის ოკეანეზე არ არის ჩვეულებრივი საზღვაო ბრძოლა. ეს ბრძოლა პირველყოვლისა არის ნერვებისა და გულების ბრძოლა, რომლებიც შეიცავენ როგორც თავდასხმასა და თავდაცვას, აგრეთვე ტექნიკურ საშუალებათა კოლოსალურ გამოყენებას. ატლანტიის საზღვაო ბრძოლა არის კონსტრუქტორებისა და გამომგონებლების შეჯახება.

ბრძოლაში თავდასხმის მთავარ იარაღს წარმოადგენს ნაღმი „უგორი“, ხოლო თავდაცვის — საწყლო ბომბი, რომელსაც „ფაბოს“ უწოდებენ.

საზღვაო გამანადგურებლებს, ნაღმოსნებსა და სწრაფმავალ გემებს, აგრეთვე სახომალდო წვრილ ერთეულებს გემბანზე აქვთ „ვაბოს“ სისტემის საწყლო ბომბი. ამ ბომბის გასროლა სწარმოებს გემის ანძაზე მიმაგრებული ბომბმტყორცნის საშუალებით. ბომბმტყორცნი გაისვრის ბომბს კუთხის 50 გრადუსით, 80 მეტრის მანძილზე. ბომბი მოთავსებულია არა პირდაპირ ბომბმტყორცნში, არამედ სპეციალურად შეერთებულ ლულაში. დაკუმშული ჰაერის საშუალებით ბომბმტყორცნი გაისვრის ბომბს. თვით საწყლო ბომბი იწონის 180 კილოგრამს, ამას უნდა მიუმატოთ ქვედადგამის წონა 50 კილოგრამი, ამგვარად ბომბის საერთო წონა უდრის 230 კილოგრამს.

ბომბდამცურზე მიმაგრებულია 3 — 6 საწყლო ბომბი. ხომალდებს,რომელთა ამოცანაა წყალქვეშა ნავებზე ნადირობა, აქვთ 2-4 ბომბმტყორცნი და 2 ბომბდამშენი.

საწყლო ბომბი მომარაგებულია წყლის დაწოლით მომქმედი ცეცხლწამკიდი აპარატით, რომელიც ავტომატურად ფეთქდება წყალში 140 მეტრის სიღრმეზე. ცეცხლწამკიდი მოწყობილია იმგვარად, რომ სავსებით გამორიცხულია აფეთქების დაგვიანება. ბომბის აფეთქებისას 10 მეტრის მანძილზე წყალქვეშა ნავის დაღუპვა აუცილებელია.

◆

მდინარე სალვენის ნაპირებზე

ტოკიოდან იუწყებიან, რომ ბრძოლა ბირმაში ვითარდება უმთავრესად მდინარე სალვენის ნაპირებზე. დღემდე ჩუნკინგის ჯარები იცავდნენ მდინარის დასავლეთის სანაპიროს ხიდმისასვლელ სიმაგრეს. იაპონიის ჯარების მიერ ჩატარებული, ოპერაციების შედეგად ხიდმისასვლელი სიმაგრე განადგურებულია. იაპონელებმა ხიდმისასვლელი სიმაგრის ჩრდილოეთით წინ წაიწიესა და მდინარე სალვენის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ აიღეს 150 კილომეტრის სიგანის უბანი. ამგვარად იაპონელებს შესაძლებლობა აქვთ გადავიდნენ მდინარის მეორე ნაპირზე.

იაპონელებმა შესძლეს ალყა შემოერტყათ დაახლოებით 15.000 ჩუნკინგელ ჯარისკაცისათვის მდინარე სილვენის ნაპირებზე. ამჟამად გრძელდება სასტიკი ბრძოლა ჩუნკინგის ნაწილების წინააღმდეგ. ბრძოლა მიმდინარეობს კაოლიკუმის მთიან ადგილებში, 3.000 მეტრის სიმაღლეზე. იაპონელებმა შესძლეს ამ რაიონში გაეყვანათ თანამედროვე გზები და მოეწყოთ სამხედრო საჭურველით მომარაგება.

იაპონიის სამხედრო წრეებში ჰფიქრობენ, რომ თუ მათ ვერ შესძლეს მდინარე სალვენის აღმოსავლეთ ნაპირზე გადასვლა, მაშინ უახლოესი ამოცანაა — უზრუნველყოფილ იქნას თავდაცვითი ხაზი.

◆

ᲛᲢᲠᲘᲡ ᲯᲐᲕᲨᲜᲝᲡᲐᲜᲘᲡ ᲩᲐᲫᲘᲠᲕᲐ ᲬᲧᲜᲐᲠ ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲨᲘ.

ᲢᲝᲙᲘᲝ, 3 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ.

როგორც მტრის მთავარი სადგომიდან იტყობინებიან, ბოუგაინვილის სამხრეთით, კუნძულ მონოზე, მტრის დესანტის გადმოსხმის დროს, იაპონიის საზღვაო ფლოტმა ჩასძირა მტრის ერთი ჯავშნოსანი, ხოლო მეორე მძიმედაა დაზიანებული.

ინგლის-ამერიკის კონფერენცია ანკარაში

ამ უკანასკნელ კვირის დასაწყისში ამერიკის საელჩოს შენობაში შესდგა პრესის კონფერენცია ინგლის-ამერიკის პროპაგანდის ხასიათის შესახებ თურქეთში. ასეთივე კონფერენცია შესდგა ბრიტანეთის საელჩოშიც. ამერიკის ჟურნალისტებმა უნდა დაარწმუნონ თურქეთის წრეები იმაში, რომ ტერიტორიული დათმობები საბჭოთა კავშირისადმი ისახავს ერთ მიზანს — საბჭოთა კავშირმა განაგრძოს შეტევითი ომი.

თუ საბჭოთა კავშირი მომავალი ზაფხულის განმავლობაში მოახდენს ფართო მასშტაბის შეტევას, ამ შემთხვევაში გაწეული დანაკარგის შედეგად, მას არ ექნება შესაძლებლობა წაუყენოს ინგლის-ამერიკელებს თავისი მოთხოვნები და დაჟინებით მოითხოვოს მათი განხორციელება.

ერთმა გავლენიანმა ამერიკელმა დეპუტატმა კონფერენციაზე წაიკითხა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ სტატია. ამ სტატიაში რეკომენდირებულია საბჭოთა კავშირს მიეცეს ყოველგვარი დაპირება ტერიტორიული მოთხოვნების ირგვლივ, რადგან მაშინ უფრო ადვილია ჩვენთვის ერთსულოვნად განვიხილოთ საკითხი ევროპის მოწყობის შესახებ ომის დამთავრების შემდეგ. გადამწყვეტ მომენტში, ნათქვამია სტატიაში, ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ადვილად დავიყოლიოთ უკვე დასუსტებული საბჭოთა კავშირი ხელი აიღოს თავის მოთხოვნებზე.

◆

„სასიამოვნო მოგონებანი“

რუსეთში არის პატარა მდინარე ბერეზინა. რამდენიმე ხნის წინათ, როცა გერმანიის ჯარები აწარმოებდნენ ფრონტის ხაზის შემოკლებას, მდინარის ნაპირები დაიკავა წითელმა არმიამ. როგორც საბჭოთა კავშირის,ისე მოკავშირე ერების პრესაში დაიწყეს ყვირილი სტალინური სტრატეგიის გრანდიოზულ „წარმატებაზე“.

განსაკუთრებით თავი გამოიდეს დე-გოლის ხალხმა.მორიგ რადიოგადაცემაში ფრანგულ ენაზე მათ მოინდომეს ისტორიული პარალელის გატარება, მიეცნენ სამხედრო მოგონებებს და ცნობილი უნტეროფიცრის ქვრივის მსგავსად თავიანთი თავი თვით გააბეს მახეში.

დე-გოლის ამალის გადმოცემით მდინარე ბერეზინაზე მოხდა ორი დიდი ბრძოლა, რომლებშიაც რუსეთის არმიამ მიაღწია დიდ გამარჯვებას. პირველად მათ დაამარცხეს შვეციის მეფის კარლ მე-12-ის არმია, ხოლო მეორეჯერ, 1812 წლის 25-28 ნოემბერს — ნაპოლეონის არმია. ცხადია ეს ამბავი ფრანგებისათვის თასაკვეხნი არ არის! გასაგებია, რომ მათ ამით უნდოდათ ეთქვათ შემდეგი: „რუსების ბრწყინვალე გამარჯვება მდინარე ბერეზინაზე ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ ეს ადგილი წარმოადგენს ქვაკუთხედს, სადაც ყველა იტეხავს კისერს ვინც კი რუსეთის ფართობებისაკენ მიისწრაფის. აქ დაამარცხეს რუსებმა შვედები და აქ განიცადა საშინელი მარცხი ნაპოლეონმა“.

დე-გოლის ამალამ მოინდომა რა მდინარე ბერეზინაზე მომხდარი ბრძოლისათვის მიეცა ისტორიული მნიშვნელობა, სრულიად დაჰკარგა გრძნობის საზომი. ლაქიობის ენთუზიაზმით გატაცებულნი ისინი აფურთხებენ თვით საფრანგეთის ღირსებას და თვითეულ ფრანგს, რადგან ეს ყველაფერი ლაპარაკობს იმაზე, რომ „ამ ადგილზე“ ოდესღაც ჩვენც გვცემდნენო.

ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲨᲘ

◆

„ᲧᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲓᲐᲤᲐ“

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 3 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ადოლფ ჰიტლერმა დააწესა „საპატიო დაფა“ ყუბანის ხიდისთავის გმირი მებრძოლების პატივსაცემად. ფიურერმა დაავალა გერმანიის ჯარის უმაღლესი სარდლობის უფროსს მოახდინოს დაფაზე შესატანთა პირობების შემუშავება.

◆

ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

იტალიის გაზეთმა „რეჟიმე ფაშისტამ“ გამოაქვეყნა ახალი, დაწვრილებითი ცნობები ვიქტორ ემანუილის, პრინცის მემკვიდრის უმბერტოსა და ბადოლიოს გაქცევის შესახებ.

როგორც გადმოგვცემენ, გამყიდველები რომიდან გამოვიდნენ ავტომანქანით და დაბინავდნენ გრეკიოში. ღამე მათ გაათიეს ჰერცოგ ბოვინოს ციხე-სიმაგრეში. აქვე ავიდნენ ისინი ნაღმზიდზე და გაემგზავრნენ ინგლისელებისაკენ. დამსწრეთა გადმოცემით ვიქტორ ემანუილი, როგორც ბავშვი ისე, ხელში აყვანილი შეიყვანა გემზე კარაბინერთა კაპიტანმა.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲒᲐᲨᲘ

იმ დროს, როცა ომი გრძელდება და დღითიდღე ღებულობს საშინელ ხასიათს, ინგლისში, ბრიტანეთის დომინიონებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაისმის საგანგაშო ხმა ომის დამთავრების შემდეგ მოსალოდნელი უმუშევრობის შესახებ. ამ საკითხის გარშემო პოლიტიკური მოღვაწენი წარმოსთქვამენ სიტყვებს, პრესაში იწერება სტატიები მრავალგვარი პროექტებითა და წინადადებებით, იწვევა კონფერენციები. ყველა ამ ღონისძიებათა მიზანს შეადგენს მოსალოდნელი უმუშევრობის ლიკვიდაცია.

პირველი მსოფლიო ომისა და სამარცხვინო ზავის შედეგად გერმანელი ხალხი ვერსალის ხელშეკრულებით პოლიტიკურად და ეკონომიურად შეჰბოჭეს. 1933 წელს, მას შემდეგ, როცა ხელისუფლებას სათავეში ადოლფ ჰიტლერი ჩაუდგა, სულ მოკლე ხნის განმავლობაში მოხდა სახალხო სენის — უმუშევრობის ლიკვიდაცია. რამდენიმე წლის მანძილზე გერმანიაში არა მარტო მოისპო უმუშევრობა, არამედ საჭირო შეიქნა გერმანიის მრეწველობაში უცხოელთა მუშების ჩაბმა, რადგან მრეწველობა განიცდიდა მუშახელის ნაკლებობას. ეს მიღწევა იყო შედეგი სახალხო მეურნეობის რეგულირებისა. ამასთანავე ერთად ვაჭრობა და ტრანსპორტი, აგრეთვე საქონლის გატანა და შემოტანა სწარმოებდა ზუსტად დამუშავებული გეგმის მიხედვით. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მეურნეობის ერთერთი მამოძრავებელი ელემენტი იყო საგარეო ვაჭრობის წარმოების ახალი წესი, რომელიც ემყარებოდა შემდეგ პრინციპებს: 1). გარედან ისეთი საქონლის შემოტანა, რომელიც არ მზადდება ქვეყანაში, 2). საქონლის შემოტანა გატანილი საქონლის შეთანაბრებით, 3). საქონლის გატანა იმ ქვეყნებში, რომლებიც ჰყიდულობენ გერმანულ საქონელს. საგარეო ვაჭრობის ამ პრინციპზე მოწყობამ, გერმანიას შესაძლებლობა მისცა მთლიანად გამოეყენებია ქვეყნის ცოცხალი და მატერიალური ძალები. ასეთი მიღწევა შესაძლებელი გახდა სახელმწიფოს მიერ უშუალოდ მიცემული შეკვეთების შედეგად (მწარმოებელთა სააღმშენებლო ინიციატივა).

არცერთ ჭკუამყოფელ ადამიანს არ შეუძლია უარჰყოს ის გარემოება, რომ გერმანიამ ასეთი პოლიტიკით შესძლო არა მარტო მოესპო უმუშევრობა თავის ქვეყანაში, არამედ მან გაანთავისუფლა მთელირიგი ევროპული ქვეყნები ეკონომიური ჩაგვრისაგან ეგრეთწოდებული დიდ „დემოკრატიულ“ ქვეყნებისაგან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუზველტი აღვივებდა ომის საქმეს. რუზველტმა ვერ შესძლო მიუხედავად ამერიკის სიმდიდრისა უმუშევრობის მოსპობა, რომელმაც მიაღწია ათ მილიონამდე. მხოლოდ ომის შედეგად გახდა შესაძლებელი უმუშევრობის ასე თუ ისე მოსპობა, რადგან ამერიკა სავსებით ჩაბმულია სამხედრო მასალათა წარმოებაში ინგლისისათვის.

კრიტიკა და სიძულვილი გერმანიისადმი გრძელდება, ვინაიდან გერმანიამ თავისი მიღწევებით თვალი აუხილა უდიდესი „დემოკრატიის“ ქვეყნებს. ამასწინათ ჟენევის ეკონომიური მეცნიერებათა პროფესორმა ვილჰელმ რეპკემ გაზეთ „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგში“ მოათავსა სტატია, რომელიც ემყარება რა მე-19 საუკუნის ეკონომიურ იდეებს, თავს დაესხა „გერმანიის ცრუ მოძღვრებას“ სახალხო ძალების ტოტალური გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. ის მას უწოდებს ეკონომიური სინამდვილეზე „მათემატიკურ-მექანისტურ ძალდატანებას“,დინამიტს, რომელიც თავის დესპოტური დამამსხვრეველი ჩარევით მოქმედებს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე. იგი გვარწმუნებს, რომ მსგავსი „ეკონომიური დესპოტია“ განწირულია დასაღუპავად.

ცხადია, რომ მდიდარი დემოკრატია გარკვევით გრძნობს ომის შემდეგ უმუშევრობის საშიშროებას. ვაშინგტონის სტატისტიკის დეპარტამენტმა ამასწინათ გამოარკვია, რომ ომის შემდეგ ამერიკაში იქნება 12 მილიონი უმუშევარი, ანუ ორი მილიონით მეტი, ვიდრე ეს იყო ომამდე. უმუშევრობისადმი გამოწვეული შიში, რომელიც იყო ამ ომის მთავარი გამომწვევი მიზეზი, ღებულობს უფრო მკაცრ ფორმას.

ხალხისა და თავისთავის დასამშვიდებლად ინგლის-ამერიკის სახელმწიფო მოღვაწენი და სამეურნეო პოლიტიკოსები დღითიდღე ექცევიან მათთვის საძულველ გეგმიანი მეურნეობის პრინციპს. გავლენის ქვეშ. ამის დამადასტურებელია სასურსათო კონფერენცია, რომელიც შესდგა ჰიტსპრინგსში. ამ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ნედლეულის, სურსათის, მრეწველობისა და სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დაგეგმვის ფართო პროექტი. ჰიტსპრინგის კონფერენციის შედეგები უკვე გადაიქცა ქების ობიექტად ინგლის-ამერიკის პრესაში, რომელიც გაჰყვირის იმაზე, რომ ეს არის ახალი ყოფის განთიადი.

გერმანიამ, სამუშაო ძალის ტოტალური მობილიზაციის გზით შესძლო უმუშევრობის მთლიანი ლიკვიდაცია, რადგან ამ პრობლემის გადაწყვეტა უშუალოდ დაკავშირებული იყო სოციალური პროგრამის ფართოდ და გაბედულად გატარებით. პირველი მიზანი ამ პროგრამისა იყო მთელი ძალების დაჭიმვით ხალხის განთავისუფლება უცხო ძალებისაგან. როგორც ცნობილია, ინგლისი და ამერიკა აწარმოებენ რა ეხლანდელ ომს, მიზნად ისახავენ არამც თუ შეინარჩუნონ, არამედ გაადიდონ თავიანთი კაპიტალისტური მაგნატების მოგება, სხვა ხალხებსა და სახელმწიფოებს თავზე მოახვიონ თავიანთი ხელისუფლება.

ნახევრად დაპირებებითა და უდღეური გეგმებით ისინი ვერ შესძლებენ ბრძოლას უმუშევრობის მოსასპობად, რომელიც ბრწყინვალედ ჩაატარა მხოლოდ გერმანიამ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲖᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ერთობის საფუძვლები

ჟამი უკანასკნელი მეფობისა

ამ მოკლე მიმოხილვით ჩვენ გავიცანით ის ელემენტები ანუ კავშირნი, რომელნიც ქართული ეროვნების შემქნელი და ეროვნული არსებობის ფუძენი იყვნენ. ქართველური ტომები, გეოგრაფიული ვითარებით ურთიერთს დაშორებულნი, თავისთავს გრძნობდნენ ერთი შთამომავლობის და ერთი სისხლის (ერთი რასის), ერთი ზნეჩვეულებისა (ერთი ტრადიციების), ერთი სულიერი ცხოვრების (ერთი კულტურის) მატარებელ ხალხად. ქართულმა დინასტიამ, ბაგრატიონთა ტახტმა ქართველურ ტომებს მისცა სახელმწიფოებრივი სახე და მეფე შეიქმნა ერის სიმბოლოდ, მისი ერთობისა და ეროვნობის უზენაეს გამომხატველად. ქრისტიანობა გახდა იმ საფუძვლად, რომელზეც ერის კულტურულ-ეროვნული არსებობა — განვითარება და თვითდაცვა ემყარებოდა. ქრისტიანობასთან დაკავშირებით განვითარებული ქართული კულტურა და კერძოდ მწერლობა შეიქმნა იმ ცემენტად, რომელიც ქართველურ ტომთ ერთ ერად ჰქმნიდა. საქართველოს მთლიანი სახელმწიფოს დარღვევის შემდეგ, მუდმივი წადილი გაერთიანებისა და ერთმეფობისათვის და კავკასიის ხელში დაჭერის პოლიტიკა ქართველ ერს იდეალსაც აძლევდა პოლიტიკის ასპარეზზე. მაშინდელ პირობებში ეროვნული მთლიანობის ხელისშემშლელი იყო საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა, კუთხეებად დანაწილება ხეობათა შორის, თუმცა იგივე გეოგრაფიული ვითარება ხშირად შველოდა ქართველ ხალხს შემოსეული მტრისაგან თავი გადაერჩინა. საქართველოს მთლიანობის დამარღვეველი ელემენტი იყო: მისი პატრონყმული, ფეოდალური წყობილება, დიდგვარიანთა ლტოლვა განკერძოებისაკენ. („ვინაითგან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება ჰპოონ და განსვენება, იწყიბენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“ („ქართლის ცხოვრება“.). ამ ფეოდალური სისტემიდან წარმოშობილი საშინაო ომები და განსაკუთრებით გარეშე მტერთა მუდმივი თავდასხმანი, („აღსდგენ და შემოესიენ, შეიბნეს თავადნი გლეხისკაცისაგან უმჯობეს და გლეხიკაცი თავადისაგან უკეთესად“...), ეს ორი მთავარი ელემენტი: ფეოდალიზმი და გარეშე მტერი, იყო საქართველოს მთლიანობის მუდმივი დამარღვეველი და ქართველი ერის გამანადგურებელი. ამ დამრღვევ ელემენტებს უპირდაპირდება: ქართული ერთობა ნათესაობისა ანუ რასისა, ქართული ერთობა კულტურისა, ქართული ერთობა სარწმუნოებისა, ქრისტიანობისა. დიდი მნიშვნელობისა იყო აგრეთვე ერთობა ზნეჩვეულებათა და ყველა ქართველთა თანამონაწილეობა საერთო ქართულ ისტორიაში, სადაც ბაგრატიონთა გვარი ხელმძღვანელობას იწევდა. რუსეთის გაბატონების დასაწყისშივე პირველი იერიში სწორედ სამეფო ტახტზე იქნა მიტანილი და ამგვარად ხელმძღვანელობა მოსპობილი. სამეფოს ტახტის დანგრევასთან ერთად იწყება დიდი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ, — აჯანყებათა რიგი. რომელიც რუსეთმა სისხლის მორევში ჩაახრჩო, ბრძოლა კიდევ გაგრძელდა სხვა გზებით. საქართველო დღესაც იბრძვის თავის უფლებათა განხორციელებისათვის.

⁂

გარეშე მტერთა მუდმივმა შემოსევამ და განუწყვეტელმა თავდასხმებმა ქართული სამეფო სამთავროები გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა და საქართველოს გაერთიანების მისწრაფებას ფრთები შეაკვეცა. ქართულმა სამეფოებმა საკუთარი ძალით ვერ შესძლეს თურქეთისა და სპარსეთის ქართულ შინაურ საქმეებში ჩარევის აღკვეთა და ამის შედეგად იწყება დამხმარე ძალის, მეგობრის ძებნა. ეს ძებნა მე-16 საუკუნიდან იწყება და მე-18 საუკუნეში ხშირდება. დახმარების ძებნის მიზეზი შესანიშნავად გამოხატულია ტფილელ მიტროპოლიტის ათანასე ამილახვარისადმი მიცემულ დავალებაში, რომელსაც რუსეთის ხელმწიფისთვის უნდა მოეხსენებინა: „აოხრდა ქართლი ურჯულოსაგან, შეიბილწა მონასტერი და დაიჩაგრა ქრისტიანობა. ვევედრებით შენს ხელმწიფებას და სიმაღლეს გვიხსნა ურჯულოს ხელთაგან და ვაქოთ ხელმწიფება და სიმაღლე შენიო“. ამგვარად აქვს გადმოცემული პაპუნა ორბელიანს თავის ისტორიულ შრომაში „საქართველოს ცხოვრება“ ის საგარეო პოლიტიკური მიმართულება, რომელიც უმწეო მდგომარეობათა შედეგად ქართულ სამეფოებში წარმოიშვა.



თბილისის ხედი სამხრეთის ხეობიდან. ნახ. გაგარინისა.

თურქ-სპარსთაგან და კავკასიის მთის ტომთაგან შევიწროებული ქართლ-კახეთი, რომელმაც მრავალი ომი გარდაიხადა და მუდმივ სისხლისღვრაში იმყოფებოდა, მიმართავს რუსეთს დახმარებისათვის და 1783 წელს ხელშეკრულებას სდებს მასთან. ამ ეგრეთწოდებული „ტრაქტატის“ ძალით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე რუსეთის იმპერატორის მფარველობას აღიარებდა. ამის შედეგად ქართლ-კახეთს აღარ ექნებოდა უფლება თავისი საკუთარი და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა, — ამისათვის საჭირო იყო რუსეთის წარმომადგენელის თანხმობა. სამეფო ტახტი რჩებოდა ბაგრატიონთა ხელში და ყოველ ახალ მეფეს უნდა მიეღო მეფობის დასტური (ინვესტიტურა) რუსეთისაგან. თავის მხრივ რუსეთს უნდა დაეცვა ქართლ-კახეთი გარეშე მტრისაგან და მის შინაურ საქმეებში არ ჩარეულიყო. ქართული ეკლესია დამოუკიდებელი რჩებოდა. აი ესაა ის მთავარი მუხლები, რომელნიც რუსეთ-ქართლ-კახეთის ურთიერთობას განსაზღვრავდა. ამ ხელშეკრულების ანუ ტრაქტატის გარშემო დიდი აურზაური ატყდა, როგორც საგარეო ისე შინაური ასპარეზზე. ხელშეკრულების გამო სპარსეთი და თურქეთი მეტად საშიშარ მდგომარეობაში ჩავარდნენ, რადგან მათ რუსეთისაგან პირდაპირი საფრთხე მოელოდათ ანუ თუ დავიმოწმებთ ილია ჭავჭავაძეს, მდგომარეობა იყო ასეთი: „როგორც სპარსეთმა, ისე თურქეთმა კარგათ იცოდა, რა დიდი საქმეა საქართველოს ხელში ჩაგდება მისათვის, ვინც დაასწრობს. ვინც საქართველოში ფეხს მოიმაგრებდა, იგი დიდს ზედმოქმედებას იქონიებდა მთელს დასავლეთს და მცირე აზიაში და სვებედი აზიის შესახებ პოლიტიკისა ხელთა ჩაუვარდებოდა სხვათა შესახუთავად. გარდა ამისა, არც სპარსეთს უნდოდა, რომ საქართველოს დაჭერით ვინმე სხვა სახელმწიფო ახლო მოსვლოდა, არც თურქეთს, რადგან საქართველო ამ ორსავ სახელმწიფოს საზღვრად და გზად ედვა. თუმცა რუსეთისაგან შიშს ეს ორივ სახელმწიფო ერთად უნდა ემოქმედებინა, მაგრამ ასე არ მოუხვდათ. სპარსეთს უნდა მარტოს სჭეროდა საქართველო, ჯერ ვითარცა კარი რუსეთიდან აზიაში შემოსვლისათვის დასაკეტი, და მერმე ვითარცა გზა ოსმალეთის შესალახველი. ამასვე ჰლამობდა ოსმალეთი და სპარსეთს არ ანებებდა საქართველოს დაჭერას, თვით სწყუროდა ეს კარი და გზა თითონ ჰქონებულიყო და სპარსეთისათვის მუქარად ხელში სჭეროდა. აზიაში ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს ეცილებოდა პირველობასა და ბატონობას და ამიტომ ერთმანეთზე ალურსებულნი იყვნენ და ერთმანეთს შორის უდგნენ“.

რუსეთ-ქართლ-კახეთის ტრაქტატის შედეგად სპარსეთმა და თურქეთმა კავკასიის ქედზე რუსეთის გადმოსვლის მთელი საშიშროება იგრძნეს და ქართლ-კახეთის ასეთ ნაბიჯს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. შემოსევანი და თავდასხმანი უფრო გაძლიერდნენ, ხოლო თვით ქართლ-კახეთში ამ ხელშეკრულებას ბევრი მტერი აღმოუჩნდა და რუსეთის მოწინააღმდეგეობაც გაიზარდა. ერეკლე მეფე ფიქრობდა ამ ტრაქტატით ქვეყნისათვის ეშველა რუსული დამხმარე ძალის გამოყენებით. ამავე გზას დაადგნენ დანარჩენი ქართული სამეფო სამთავროებიც.

1803 წელს, 4 დეკემბერს ოდიშის ანუ სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანიც სდებს ხელშეკრულებას რუსეთთან, რომლის ძალითაც იგი თავისი კანონიერი მემკვიდრეებით რჩებოდა სამეგრელოს მთავრად.

ამ ფიცის ხელშეკრულებაში სწერია: „ფიცი და ალთქმა საუკუნო. შევსწირავ თავსა ჩემსა ყოვლად უმოწყალესსა მონარხსა სრულიად როსიისა და სხვათა, ამიერიდან ჩემსა უძლიერესსა ხელმწიფესა აწ და საუკუნოდ მე და ძენი ჩემნი და ჩემთა შეკრულნი ძმანი ჩემნი, ესე ვითარითა სარწმუნოებისა და შჯულისა ქრისტიანობითა სქესითა...“

ხოლო დავით დადიანს, სამეგრელოს მთავარს და ეკატერინე ჭავჭავაძის ასულის მეუღლეს, აფხეზეთის მთავარი შერვაშიძე, აფრთხილებდა: „იცი, რა არის რუსი? — ტილია. ფეხზე რომ დაისვამ, უეჭველად აგაცოცდება, შენ კი ელაქუცები და სცდილობ აამო ხოლმე ამ ტილს“.

იმერეთის მეფე სოლომონ მეორეც იძულებული გახდა 1804 წელს, 4 ივლისს დაედო რუსეთთან ასეთივე ხელშეკრულება; ამ შემთხვევაში იგი იყო უფრო თავზე ძალით მოხვეული. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელშეკრულების ძალით გურიის სამთავრო იმერეთს მიეკუთვნა, რუსეთმა 1810 წელს მოლაპარაკება გამართა გურიის მთავარ მამია გურიელთან და მას დაუდო ხელშეკრულება 1810 წელს იმავე ხასიათისა, როგორიც გრიგოლ დადიანს. ამგვარივე ხელშეკრულება რუსეთის ქვეშევრდომის შესახებ დაიდო აფხაზეთის მთავარ გიორგი შერვაშიძესა და რუსეთს შორის 1810 წლის 17 თებერვალს. 1833 წელს სადადეშქელიანო სვანეთმაც მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა, ხოლო თავისუფალმა სვანეთმა 1840 წელს აღიარა რუსეთის მფარველობა. ქართული სახელმწიფოს ძველი აკვანი მესხეთი, უკვე დიდი ხანია იმყოფებოდა თურქეთის ხელში და ქართველი ერს ეკარგებოდა „გათათრებისა“ გამო.

ამგვარად, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს საქართველოს პოლიტიკური სურათი ნათელია თუნდაც მარტო ამ თარიღების აღნუსხვით: ქართლ-კახეთის სამეფო (1783 წელს),სამეგრელოს სამთავრო (1803 წელს), იმერეთის სამეფო (1804 წელს), გურიის სამთავრო (1810 წელს), აფხაზეთის სამთავრო (1810 წელს), სვანეთის სამთავრო (1833 წელს), თავისუფალი სვანეთი (1840 წელს) — ცალცალკე — უდებენ ხელშეკრულებას რუსეთს და ყველა ამ ხელშეკრულების მისწრაფებაა: ქვეყნის დაცვისა და მემკვიდრეობითი მთავრობის შექმნისა და დარჩენაგაგრძელების ინტერესი.

ცენტრალისტურ და ბიუროკრატულ რუსეთს არ შეეძლო მოეთმინა პოლიტიკური სისტემა, რომელიც მის მტკიცედ და ფესვიანად ფეხის მოდგმას კავკასიაში ხელს შეუშლიდა და საგარეო მდგომარეობას ურთულებდა. ვითარება საქართველოში და საქართველოს გარშემო მეტად რთული იყო და ერთი ხელისდაკვრით რუსეთს არ შეეძლო მთელი ქვეყნის დაპყრობა. ამიტომ მან, რუსეთმა, ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო საქართველოს კუთხეთა შეერთება და ამგვარად შემდეგში დამოკიდებული, ავტონომური მხარეების სრულიად მოსპობა.

ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ, ქართლ-კახეთის ტახტზე მეფედ ავიდა გიორგი მეთორმეტე, „ზაქიყლაპიად“ წოდებული. რუსეთმა დაამტკიცა იგი მეფედ. მაგრამ ამასთანავე გადასწყვიტა ყოველი ღონე ეხმარა მეფობის მოსასპობად. პეტერბურგში უკვე გაფაციცებული მუშაობა იყო ამ მხრივ მიმართული. როცა გიორგი მეთორმეტემ კვლავ აღძრა საკითხი, რომელიც გამოწვეული იყო შინაურ უთანხმოებათა, განსაკუთრებით მემკვიდრეობის გამო, ახალი ტრაქტატის გამომუშავების შესახებ, ეს ცნობა პეტერბურგში სიხარულით მიიღეს. 1800 წელს წარდგენილი ნოტის თანახმად, გიორგი მეფე აღიარებდა რუსეთის ქვეშევრდომობას და რუსეთს აღუთქვამდა „აღასრულონ ყოველივე იგი, რასაც აღასრულებენ მონანი მისნი და არა უარჰყონ არა რომელიმე სჯული და ბრძანება, რაოდენცა სამეფოსა მისგან იქნების შესაძლო“; ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო უერთდებოდა რუსეთს,ხოლო მისი მმართველი დაინიშნებოდა რუსეთის იმპერატორის მოადგილის წოდებით, ხოლო თვით ქართლ-კახეთში მეფის სახელის წოდებით, გიორგი მეთორმეტის მემკვიდრე და მისი პირდაპირი შთამომავლობა. ამ მოადგილე-მეფისთან დაინიშნებოდა რუსეთის დიდი მოხელე, რომელიც ქართლ-კახეთის მართვაგამგეობას მოაწყობდა რუსეთის კანონების მიხედვით და მოადგილე-ქართველი — მეფის დასტურით. ქართველი მეფის ქვეშევრდომნი უფლებებით უთანასწორდებოდნენ რუსეთის ქვეშევრდომთ და სხვ.. რასაკვირველია რუსეთის მთავრობამ სიხარულით მიიღო ეს პირობები და მოლაპარაკება ხელის მოწერისათვის გაგრძელდა. ეს ხელშეკრულება ხელმოუწერელი დარჩა და ამგვარად იგი ძალაში არასოდეს არ შესულა, რადგან იმპერატორი პავლე გარდაიცვალა. მაგრამ მან, პავლემ, ერთი მაინც მოასწრო. როდესაც ამ ხელშეკრულებაზე რუსეთის მხრივ განზრახ გრძელდებოდა ლაპარაკი, რუსეთის სახელმწიფო საბჭომ საკითხი დააჩქარა და იმპერატორმა პავლემ 1800 წლის 22 დეკემბერს ხელი მოაწერა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტზე, რომლის გამოქვეყნება უნდა მომხდარიყო ახალი ხელშეკრულების დადებამდე მხოლოდ მაშინ, როცა მეტად დასნეულებული და დღითიდღე სიკვდილის მომლოდინე გიორგი მეთორმეტე გარდაიცვლებოდა.

(გაგრძელება იხ. მე-6 გვერდზე)



მეტეხის ციხე

წარუშლელი შთაბეჭდილება

დღეს მთელი კაცობრიობა ჩაბმულია ისტორიაში ჯერ არ ნახულ ომის ცეცხლში. კაცობრიობა იბრძვის ქვეყნის სამართლიან, ახალ ტერიტორიულ დანაწილებისათვის.

ამ დიდი ბრძოლის მედროშეა გერმანია და მისი მოკავშირე ქვეყნები ადოლფ ჰიტლერის წინამძღოლობით, რომელიც იბრძვის ახალი ევროპისათვის, სადაც არ იქნება ბოლშევიზმი, კაპიტალიზმი და ურიობა.

მიუხედავად ომის მეტად მძიმე პირობებისა გერმანიის მთავრობა ჩვენ არ გვივიწყებს და ზრუნავს ლეგიონერთათვის. ლეგიონში თავისუფალი დღე გამოყენებულია ჩვენი კულტურულად დასვენებისთავის. ფართო გასაქანი აქვს სპორტს, ქართულ ჭიდაობას და სხვ. ქართულ ლეგიონს საკუთარი კლუბი აქვს. გვყავს მომღერალთა გუნდი, მუსიკალური ჯგუფი, გვაქვს ჭადრაკის საზოგადოება. გარდა ევროპული ინსტრუმენტებისა ლეგიონს აქვს ქართული ნაციონალური საკრავებიც.

ლეგიონერებს შვებულებაც ეძლევათ. რამდენიმე ხნის წინათ 18 ქართველი ლეგიონერი გერმანიაში ჩამოვიდა. თვითეული ჩვენგანი მოუთმენლად ელოდა ენახა დიდი გერმანია და გაეცნო იგი; რამდენიმე საათის მოგზაურობის შემდეგ უნტეროფიცერმა მოულოდნელად დაიძახა: „გერმანია"! ლეგიონერები ფეხზე წამოხტნენ, ფანჯრებიდან გაჰყურებდნენ. მათ მართლაც შეეძლოთ ენახათ განსხვავება აქამდე გამოვლილ ქვეყანასთან. სუფთა გზები, მშვენიერი სახლები, ბაღები, აღრმავებდნენ სიყვარულს ჩვენი გერმანელი ძმებისადმი. მატარებელი გაჩერდა ბრესლაუს სადგურზე. ხალხი სიყვარულით გვიყურებდა.

მიუახლოვდით გერმანულ კურორტს ობერსტდორფს. ჩვენ დავინახეთ მაღალი მთები, რომლებზედაც ჯერ კიდევ ზამთრის თოვლი იდო. თვით ზაფხულის ცხელ მზეს ვერ გაუდნევნია იგი. იქ, მაღლა, ცივი ქარი ჰქრის. ამ მაღალი მთების მწვერვალები შორიდან მოჩანდნენ. რამდენიმე საათის შემდეგ მატარებელი მივიდა მთებთან და ჩვენ ვიგრძენით ცივი ქარი. კურორტი ობერსტდორფი. ჩვენთვის დანიშნული ბინა მხოლოდ 500 მეტრის მანძილზე იყო, მაგრამ ეს პატარა მანძილიც ავტომანქანებით გავიარეთ. 2-3 კაცი ცალცალკე ოთახში მოგვათავსეს. ოთახები მშვენივრად იყო მოწყობილი. სასადილო, იმყოფება დასასვენებელ სახლში. ჩვენთან ერთად აქ სადილობდნენ გერმანელი ოფიცრები. პირველ ღამეს კარგად დავისვენეთ და მეორე დღეს დავათვალიერეთ კურორტი. ლეიტენანტი და უნტეროფიცერი ყველაფერს გვიჩვენებდნენ და გვიხსნიდნენ. ობერსტდორფი ისე დიდია, მრავალმხრივი და საინტერესო, რომ ჩვენი იქ 12 დღის ყოფნის დროს არ შეგვეძლო ყველაფერი გვენახა. ობერსტდორფი მეტად ლამაზია, მაღალი მთები და მათ შუა მოჩუხჩუხე პატარა რუები, მთლად საქართველოს, ჩვენს სამშობლოს მოგვაგონებს. განსაკუთრებით საინტერესოა ქალაქის დასავლეთ ნაწილში მდებარე ვიწრო ხეობა, სადაც კლდეში გაყვანილია ვიწრო გზა, კლდის კედლები რკინის პატარა ხიდებითაა შეერთებული. ხეობაში ჩამოდის პატარა მდინარე, რომელიც თევზებითაა სავსე. ობერსტდორფის ყველაზე მაღალი მთის მწვერვალზე გამართულია დასასვენებელი სახლი რესტორანით, სადაც სტუმრები ფუნიკულიორის მსგავსი გზით ადიან.

ობერსტდორფის შემდეგ, ჩვენ ვინახულეთ ვენა. იქ დავრჩით 3 დღე. ამ სამი დღის განმავლობაში ქალაქი დავათვალიერეთ. დათვალიერებისას თან გვახლდა გერმანელი ქალი, რომელიც გვიხსნიდა ვენის ისტორიულ განვითარებას. ჩვენ ვნახეთ, კაიზერის სასახლე და საზამთრო სასახლე, სადაც ადოლფ ჰიტლერი 1938 წელს ავსტრიის მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. ვიყავით აგრეთვე ზოოლოგიურ ბაღში, ცირკში, ოპერაში და სხვ.

გერმანიაში ამ მოგზაურობამ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ ერთი გვაქვს სათქმელი: გერმანელი ხალხი კარგად სცხოვრობს, სცხოვრობს ისე, თითქოს ომი არ იყოს. მუშაობა მძიმე არ არის, რადგან ყველაფერი მანქანით კეთდება. ყველგან, სადაც ჩვენ მივიდოდით, პატივით გვღებულობდნენ და ხილით, პაპიროსით გვიმასპინძლდებოდნენ.

ლეგიონერთა ჯგუფი.

მინების ძებნა

შენს დანაბარებს ვასრულებ...

ეხლა როცა თოფით ვდგევარ, თვალწინ მიდგას შენი სახე,
ეხლა გახდი უფრო ტკბილი, წუხელ სიზმარშიაც გნახე,
სახეს მწუხრი გადაჰკრავდა, ძველი ეშხი ველარ ვნახე,
შემხედე და უნდო თვალით სასოება გამოსახე!..
ვიცი რამაც დაგაღონა და რა ჯავრი წაგყვა გულში:
შენ გეგონა, შენმა შვილმა გიღალატა, გახდა მრუში,
არა, დედა, შენს ნასწავლებს შენს შვილს ვერვინ ვერ მოუშლის,
თუნდაც მეხი თავს დაეცეს, თუნდაც ტყვია მოხვდეს გულში!..
ის გაცოცხლდა, გაიფურჩქნა, შენ რომ ჩემში სული ზარდე,
აკვნის გვერდით რომ მიმღერე: „შვილო ლომსა უნდა ჰგავდე,
უნდა მითხრა მე ნუგეში სიბერეში, თუ გაგზარდე;
სიმართლის გზას არ ასცილდე, სამშობლოსთვის თავი დასდე".
შენს დანაბარებს ვასრულებ, დედავ, ნუ დამიღონდები;
მამაპაპისებრ მეც უნდა, ვანთავისუფლო მონები,
განვდევნო საქართველოდან ურჯულო მუქთახორები,
მაშინ მიმიღე მშობელო, მოვალ და ჩაგეკონები!..

ლეგ. მ. ჩ.

თავისუფალი ინდოეთის ცნობა

ინდოეთის განმანთავისუფლებელი მოძრაობის ბელადი სუბჰას ჩანდარა ბოსემ გერმანიის მთავრობას აცნობა, რომ მისი მეთაურობით შესდგა „თავისუფალი ინდოეთის" დროებითი მთავრობა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ რიბენტროპმა ბოსეს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც აცნობა, რომ გერმანიის მთავრობა სცნობს „თავისუფალი ინდოეთის" დროებით მთავრობას.



დედა...

...კარი ფრთხილად შევაღე და ოთახში შევედი. პატარა, დაბალჭერიან სავანეს ისევ ძველებური ელფერი გადაჰკრავდა. ოთახში ბნელოდა, მაგრამ მაინც კარგად ვარჩევდი კუთხეში მიდგმული ძველი კარადის რუხ სილუეტს. ხატის წინ ოდნავ მბჟუტავი კანდელი ირგვლივ სევდიან მყუდროებას აფრქვევდა. საშინელი ნესტის სუნი მეცა... ნაბიჯის გადადგმას ველარ ვბედავდი. ვიდექი გაქვავებული, შევყურებდი იმ ადგილს, სადაც ძველებურ ქართულ ტახტზე უყვარდა განსვენება დედაჩემს. — დედა, ჩემო ტკბილო, ნუთუ აღარ ხარ ცოცხალთა შორის, ნუთუ ჩემმა ამდენი ხნის წვალებამ ამაოდ უნდა ჩაიაროს, ველარ უნდა ვიხილო შენი დამჭკნარი ლოყები, ველარ უნდა ვემთხვიო შენს ღვთაებრივ შუბლს, ველარ უნდა ვეზიარო შენს სანუკვარ დედობრივ ალერსს?! ტანში ჟრუანტელმა გამიარა და კანი ამიხორკლა. —

ფანჯრის რაფიდან დაბერებული კატა გადმოხტა და ფეხებში გამებლანდა. ინსტიქტურად დავწვდი დედის საყვარელ ცხოველს და გულში ჩავიკარი.

—მაინც არ მესმის, რას მეუბნები, ციცაკ! —კატა მაღლა ავიტაცე და თვალებში ჩავხედე. სიბნელეში მისმა თვალებმა ელექტრონსავით გაანათა...

გონება დამიბნელდა...

არ მახსოვს, როგორ მივედი დედის ტახტთან...

სასოებით მუხლთ მოვიყარე...

თმა ამებურძგნა და ციებიან ავადმყოფსავით გამაჟრიალა...

—დედა! — ჩურჩულით წარმოვსთქვი და ტახტზე განსვენებულ საგანს ხელი შევახე...

საგანი არ განძრეულა...

კვლავ სიჩუმეა.

—დედილო, ჩემო ტანჯულო მშობელო, მთელი დღის მაშვრალს ღრმა ძილით დაგძინებია! მომხედე ერთი, აი, შენი პაატა მოვედი, შენთან, მომაპყარი შენი ღვთაებრივი მზერა, ჩემო უტკბესო, ჩემო სანატრელო, ჩემო სანუკვარო დედიკო!

—ჰო, შვილო, ეხლა ღამეა, ბნელა, აი, დილა გათენდება მაშინ მელაპარაკე, რამ აგაყენა, ამ შუაღამისას, დაიძინე, გენაცვალე, ძილს ნუ გაიტეხ! — მომესმა ყრუ ხმა ლოგინიდან, ისე რომ დედა არცკი შერხეულა.

უმოძრავოდ ვიყავი მუხლმოყრილი მის წინაშე...

— შვილო, — კვლავ, ჩურჩულით, თითქოს სამარიდან ამოდისო ხმა, წარმოსთქვა დედამ, — იყურე, ჩემო საყვარელო პაატავ, შენთვის შვილო, ლამაზი საჩუქარი მოვამზადე, აი, შენ რომ გიყვარდა ჭრელი პაჭიჭები მოგიქსოვე. იყურე, შვილო, რომ გათენდება, ნახავ შენს საჩუქარს...

სუნთქვა შემეკრა...

გული საგულეში ბელურასავით აფართხალდა...

მოწყვეტილი დავეშვი, დედის საწოლზე დავემხე...

— დედა!..

ტახტი აჭრიალდა...

დედამ წამოიწია და ჭრაქს მოუკიდა...

— ვინ არის? ელო, შენა ხარ? რა დაგემართა, ქალო, რამ აგაყენა ამ სიბნელეში, მაცდური რამ ხომ არ მოგელანდა?

— დედა, ეს მე ვარ, შენი პაატა, შენი შვილი!

ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა.

მოხუცი, ლოგინზე წამომჯდარი, პირჯვარს იწერდა.

— ღმერთო, მაშორე წყეული მაჯლაჯუნა, შენს სახელს დავენაცვლე!

— დედა, მაჯლაჯუნა არა ვარ, შენი შვილი, შენი საყვარელი შვილი მოვედი შენთან; აბა კარგად შემომხედე, ნუთუ ველარ სცნობ შენს პაატას?!.

მაშინალურად ამოძრავდნენ მოხუცის ხელები...

— პაატა!?. არა, ეს მოჩვენებაა, ვიჯმნი ეშმაკისაგან, შორს ჩემგან, ბოროტო სულო!

დედის გამხმარი ხელები მაინც ჩემს სახეს მოეფათურნენ...

— შვილო, ეს შენი სახეა, შენი წარბები, შენი თვალები და წამწამები, შენი ცხვირი, თმა რა დიდი გაგზრდია, ულვაშებიც დაგიყენებია — სულის მოთქმით, ნაწყვეტნაწყვეტად ამბობდა მოხუცი.

მისი ტუჩები რაღაცას გაურკვევლად ჩურჩულებდნენ.

დედა ლოცვას ამბობდა ბოროტი სულის განსადევნად...

მაგიდას დავხედე. ჭრაქის გვერდით პატარა ლოცვანი და შავი, გიშრის კრიალოსანი იდო.

როგორ უყვარდა საბრალო დედას ძილის წინ ლოცვანის წაკითხვა...

საშინელმა გრძნობამ შემიპყრო...

— დედილო! — კვლავ მივვარდი და მკერდში ჩავიკარი. მოხუცმა ჯერ მომიშორა, მაგრამ შემდეგ წამოიწია და მომაშტერდა. ვიგრძენი — დედა ვერაფერს ხედავდა, თუმცა თვალებს რაც შეიძლება მეტად აფართოებდა — იქნებ როგორმე დავინახო — ნამდვილად ჩემი შვილია, თუ არაო. შემდეგ თვალები დახუჭა, ერთხანს დაფიქრდა მერე წყნარი, აუღელვებელი ხმით მომმართა:

— პაატა, მაშ მოსულხარ ჩემთან, ჩემო სანატრელო შვილო, სად იყავი აქამდის, რატომ დაივიწყე მშობელი დედა, განა ამიტომ აღგზარდე, დაგავაჟკაცე, რომ სიბერეში მარტოდ მიგეტოვებინე ასეთი დიდი ხნით? რად მიაგდე უმწეოდ დედაშენი, რატომ გამიმწარე სიბერე, რატომ მომიშხამე სიცოცხლის უკანასკნელი დღეები, შვილო?!.

— მე უშენობით, შენზე ფიქრით, დღეები ვალამე და ღამეები ვათენე. ცრემლები დღენიადაგ არ მოშორებია ჩემს თვალებს, და აი, ჩემი თვალები დასწვა ცრემლებმა, ეხლა მე ველარაფერს ვხედავ, ჩემთვის ეხლა დღეც ბნელია, შვილო!..

დედის თვალთაგან ორი მსხვილი კურცხალი გადმოვარდა და საბანს ჩაეჟღინთა.

დედას მკერდში ჩავეკარი და დამჭკნარი ძუძუები დავუკოცნე...

— დედა, კვლავ განვაგრძე მე, — რამდენი სანუკველი წუთი გამიტარებია შენს კალთაში, შენს მკერდზე მიყრდნობილი! მაგრამ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. ვგრძნობდი, რომ ეს სიყვარულიც ოდესმე დასრულდებოდა, და როგორც იესო ნაზარეველი, ვეთხოვებოდი მას;

მშვიდობით ჩემო ნეტარო წუთებო,

დაკარგულო სიყმაწვილევ.

თქვენ თუმცა არასოდეს დაბრუნდებით, მაგრამ თქვენზე მოგონება მარად ცოცხალი იქნება ჩემში!

კმარა!..

მე მაქვს იმდენი ნებისყოფა, რომ ზღვის სიღრმეში შესულმა, კვლავ ნაპირს მივაღწიო და ვპოვო ჩემი ნავსაყუდელი.

და აი, მოვედი შენთან, დედილო!..

ჩემს ობოლ არსებობას ამიერიდან ბოლო ელება!..

ოჰ, რა ტკბილია, საყვარელო, დიდი ტანჯვის შემდეგ დიდი სიხარული. „ტანჯვა ასპეტაკებს ადამიანის სულსო" — და მეც სპეტაკი სულით მოვედი შენს წინაშე, დედი.

დედა ხმაამოუღებლივ მისმენდა.

რამდენიმე წუთს მის სახეზე ერთი კუნთიც არ შერხეულა.

— დედა!

რატომ არაფერს მეუბნები?!.

მე, შენი ბავშვი, კვლავ მოვედი შენთან და ისევ სიყვარულით აღსავსე გული მოგიტანე!

დედას ხმა არ ამოუღია.

ჭრაქის სუსტ შუქზე მის სახეს ქარვის ფერი გადაჰკრავდა...

მოხუცი საწოლზე ფრთხილად გადავაწვინე და გვერდით მოვუჯექი.

ხატის წინ კვლავ კანდელი ილვენთებოდა...

ფანჯრის რაფაზე ჩემი საყვარელი ბალბა ძველებურად მაწონებდა თავს...

უეცრად დედამ წამოიწია, თვალები დოლაბებივით დააჭყიტა, უაზროდ მომაშტერდა, მაგრამ ისევ მოსწყდა და მძიმედ დაეცა საწოლს...

შემდეგ აღარ განძრეულა...

— დედა!..

ჩემს ყურებს ბუბუნი გაჰქონდა...

ბებერი კატა რაფიდან გადმოხტა და საშინლად აკნავლდა...

— დედა!..

გული ღრუბელსავით შემეკუმშა, ალბათ გასკდომას ლამობდა...

ფანჯარაში შემოჭრილი ატმის ყვავილებიც თითქოს ჩურჩულით იმეორებდნენ:

დედა.

⁂

უეცრად გამომეღვიძა. გვერდით მოწყალების და მეჯდა და შუბლზე ცივ ტილოს მადებდა.

ლეგ. პაატა ვარძიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისი

ᲚᲔᲒ. Ვ. ᲣᲠᲓᲝᲔᲚᲘ

ტყეთა სილურჯე, სუფთა ცა და ჩუმი დაისი,
რიონმდინარის აქაფება და ზღვის ბორიო!
მთების კალთები შემოსილი ვარდით, ნარგისით,
ზღვა შადრევნები და ტაძარი საისტორიო!..
ქუჩები ვიწრო; აზიური და უდარდელი,
ხმაური, ქოთი, — ნერვებისთვის გაუსაძლისი,
ბალახვანი და სამხრეთის ტყე — ეს მუდამ ბნელი
და ამავე დროს ფრთხილი სუნთქვა ქუთაისისა!..
შუადღე, ასფალტი, მცხუნვარე მზით აფუვებული,
განუწყვეტელად მოსისინე ავტოთა რიგი,
ძარღვიანი და შავი სახე ჯაფით ვნებული
და თეთრი კვამლი, მილებიდან ცისკენ რომ მიდის!..
ზოგი მოლაღე, ზოგი კიდევ გულჯავრიანი,
ღვინის სარდაფში გათენება თეთრად ღამისა!
ხან ტკბილი კოცნა, ხანაც კიდევ ხანჯლის ტრიალი,
ხან ტუქსვა, ხანაც მოწონება სითამამისა!..
თეატრი ძველი დღესაც წმინდა და მოშრიალე,
ქალაქის გულში აღმართულა ვით კერპი დიდი,
ცრემლად დამდნარი მავრი კვლავ მხნე იმედაშვილის
და დეზდემონას ციური ხმა, კრძალვა და რიდი!..
თეთრი და ჯაჭვის ხიდთან მდგომი პოეტთა გროვა,
გააგნებული საუკუნის სკეპტიკურ მზერით!
გალაქტიონის მკვდარი გული და მთვრალი გოგრა,
ღვინის სარდაფი, პაოლო და ტირადა გრძელი!..
ქალაქის ძველი გიმნაზია — დღეს საკრებულო,
რითაც გზას იკვლევს თაობები გონების შუქით,
წინგთსაცავები, მუზეუმი და კათედრები,
ჯავახიშვილის ნათელი და მაღალი შუბლი!..
თითქოს შეკრულა მზის ქალაქი ვარდის კონადა,
თვალს სუსხავს მისი ელვარება ზღაპრულად რგული,
რა ლამაზია, რა ტკბილი გულს ჩასაკონადა
ეს ქუთაისი — საქართველოს მხურვალე გული!..



ᲛᲝᲙᲚᲔ ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ...



ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ „ᲢᲘᲒᲠᲘᲡ“ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ.

მფრინავი ნავები

სამხედრო ცნობები არაერთხელ გვატყობინებენ, რომ ჩამოგდებულია ერთი ან რამდენიმე მფრინავი ნავი. ამ ტიპის თვითმფრინავების დიდი ღირებულება და სპეციალური დანიშნულება არის იმის მიზეზი, რომ მას იყენებენ იშვიათ შემთხვევაში. მფრინავი ნავი წარმოადგენს რამდენიმე ძრავიან მანქანას, რომელსაც დიდი სიმძლავრე და ძლიერი შეიარაღება აქვს. ფრთებში მონტირებულია 3 ან 4 ძრავი, მათი სიმძლავრე აღწევს რამდენიმე ათას ცხენის ძალას. მომსახურე პერსონალი შესდგება 6-10 კაცისაგან. თვითმფრინავის ტანის ნავის ფორმა საშუალებას იძლევა შიგ განაწილებული იქნას სამი ან ოთხი მოძრავი, ორმაგი ტყვიამფრქვევი. ორი ან სამი ტყვიამფრქვევის დაზგა მოთავსებულია თვითმფრინავის წინა და შუა ნაწილის ზევით ორსავე მხარეზე. უკანასკნელი დაზგა დადგმულია უკანა ნაწილში. თანამედროვე მფრინავი ნავები „სენდერლენდი“, მარტინი ან ლავრიკი შეიარაღებულნი არიან მცირე კალიბრიანი ქვემეხით. მფრინავი ნავი, რომელიც დატვირთულია 700 კილოგრამი ბომბით, ან ტორპედით, 2.000 მეტრის სიმაღლეზე ანვითარებს 340-360 კილომეტრის სისწრაფეს საათში. ჩვეულებრივად მას იყენებენ სანაპიროების დასაცავად, შორეული საზღვაო დაზვერვის მოსაწყობად, გემების ქარავანის დასაცავად და ნაღმებისაგან გადამლობი ზოლის მოსაწყობად.

ქართული ერთსულოვნება

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ:

POSTSCHECKKONTO BERLIN 25053
FÜR DRESDNER BANK-KONTO N 3232

ქართველ ლეგიონერთა ურთიერთდამხმარე სალაროს ფონდის გასაძლიერებლად თანხების ნებაყოფლობით შემოტანა გრძელდება. ქართველი მებრძოლები და მამულიშვილები ჩვეული ქართული პატრიოტული თანაგრძნობით იღებენ წვლილს.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის სახელზე ლეგიონერთა ურთიერთდამხმარე სალაროს ფონდის გასაძლიერებლად თანხა შემოტანილია შემდეგი სამხედრო შენაერთებისა და ქართველი მამულიშვილებისაგან: № ქართული საველე ათასეულისაგან, საველე ფოსტა №21078 — 300 ᲛᲐᲠᲙᲐ, №ქართული ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲐᲡᲔᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ — 402 ᲛᲐᲠᲙᲐ, საველე ფოსტა №20988-დან — 1000 ᲛᲐᲠᲙᲐ. გარდა ამისა ურთიერთდამხმარე ფონდის გასაძლიერებლად თანხა შემოწირულია შემდეგი პირებისაგან: პოლკოვნიკ ᲗᲔᲕᲖᲐᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ — 25 ᲛᲐᲠᲙᲐ, მაიორ ᲕᲔᲚᲘ ᲔᲓᲘᲑᲐᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ — 25 ᲛᲐᲠᲙᲐ, როტმისტრ ᲣᲑᲠᲔᲮᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ — 25 ᲛᲐᲠᲙᲐ, კაპიტან ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ — 25 ᲛᲐᲠᲙᲐ, მაიორ კოტე ᲘᲛᲜᲐᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ — 25 ᲛᲐᲠᲙᲐ.

ბიბლიოგრაფია

Werner von Siemens: Kaukasusreisen. Bernhard Sporn, Verlag, Zeulendroda, 1943.

ვერნერ ზიმენსი წარმომადგენელია ზიმენსთა იმ სამრეწველო დარგისა, რომლის განვითარების შედეგად ბერლინის ახლოს მთელი ქალაქი ზიმენსშტადტი შეიქმნა, რომელშიც მრავალი ათასი მუშა მუშაობს. ზემოთდასახელებული წიგნი წარმოადგენს ამონაბეჭდს მისი შრომიდან: „ჩემი ცხოვრება“, რომელიც დიდიხანი არაა რაც გამოიცა. „მოგზაურობა კავკასიაში“ არის აღწერა დაკვირვებული მოგზაურისა, რომელიც ბუნებითაც აღფრთოვანებულია; იგი ქებადიდებას ასხამს კავკასის და კერძოდ საქართველოს ბუნებას, აღტაცებულია იმ მშვენიერებით, რომელსაც იგი მართლაც წარმოადგენს.

ვერნერ ფონ ზიმენსი დიდი მრეწველი და დიდი საქმის კაცი იყო და უბრალო მოგზაურობაში დროს არ დაჰკარგავდა. რამ მიიყვანა იგი კავკასიაში? — საქმემ. ინდოევროპული სატელეგრაფო ხაზის დამთავრების შემდეგ, ზიმენსის სახლმა გაიყვანა აგრეთვე ტელეგრაფის ხაზები კავკასიაშიც და როდესაც ეს მუშაობა დასრულებული იყო 1864 წელს, მისმა ძმამ ვალტერმა წინადადება მისცა თავის ფირმას ახალი სამრეწველო საქმე დაეწყო კავკასიაში და ელიზავეტპოლის (განჯასთან) ახლოს კედაბეგში, მაღაროები აემუშავებინათ სპილენძის ამოსაღებათ. იმისათვის, რათა ეს საკითხი სამეურნეო თვალსაზრისით გამოერკვია, ვერნერ ზიმენსი თავის ძმა ვალტერთან გაემგზავრა 1865 წლის ოქტომბერში. აქ აღწერილია მოგზაურობა სტამბოლამდე, მერმე ტრაპეზუნდი და ბათუმი. ბათუმი იმ დროს თურქეთის ხელში იყო და წარმოადგენდა სოფელს, თუმცა კარგი შესავალი ჰქონდა გემებისათვის. „ერთადერთი მოსახმარი ნავთსადგური (შავიზღვის ნაპირისა) ბათუმია“ და მისი მოპოება რუსეთისათვის აუცილებლობაა, რადგან „მთელი კავკასური სამფლობელოს კულტურული განვითარება მასზეა დამოკიდებული“. ეს შემდეგში (1878 წ.) მართლაც შესრულდა. ფოთში, რომლის ნავსადგური ცუდი იყო, და რუსეთის მიერ გაღებული თანხები მის გასაუმჯობესებლად გენერლების ჯიბეში მიდიოდა, ვერნერ ზიმენს შეხვდა მისი ძმა ვალტერი, გემით გაემგზავრნენ რიონზე ორპირამდე, აქედან ჩავიდნენ ქუთაისს. მეორე მოგზაურობისას ვერნერ ზიმენსმა ინახულა აგრეთვე გელათიც. „ეს ტაძარი, — ამბობს იგი, — უნდა იყოს უუძველეს დროიდან“, როგორც ეს საერთოდ კავკასიაში შენობათა რელიკიებია, არა როგორც ევროპაში ასი წლებით, არამედ ათასი წლებით იანგარიშება. შეიძლება ეს გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ ყველაფერი რასაც ხედავ და რასაც ისმენ, მიგვითითებს იმაზე, რომ ჩვენ ვიმყოფებით ადამიანური კულტურის აკვანში“. ქუთაისიდან მოგზაური მიემართება თბილისისაკენ არა როგორც დღეს რკინიგზის მატარებლით, არამედ ცხენებით. თბილისი! მაშინდელი თბილისი, როგორც ავტორი აგვიწერს, შესდგებოდა ორი ნაწილისაგან: ზემო, ევროპული და ქვემო, აზიური ქალაქი. ევროპულ ნაწილს ეძახდნენ „აზიურ პარიზს“. აქედან იგი მიემგზავრება კედაბეგში, განჯასთან. კედაბეგის სპილენძის ამოღების საქმე უკვე დაწყებული იყო და მუშებად უმთავრესად ადგილობრივი მკვიდრნი იყვნენ. მაგრამ ამ „მუშებისათვის“ ავტორის თქმით, დამახასიათებელი ის იყო, რომ „წაიმუშავებდნენ“, ცოტა ფულს შეაგროვებდნენ თუ არა, მერმე მუშაობას თავს-ანებებდნენ, ჰყიდულობდნენ ქამარხანჯალს და თოფს, ან რევოლვერს, რასაკვირველია ცხენსაც. ზოგი ყაჩაღობას იწყებდა, ზოგი ფულის გამოლევის შემდეგ ისევ სამუშაოს უბრუნდებოდა; ასე, რომ მუდმივი მუშები ქარხანას არ გააჩნდა. ეს ის დროა, როცა მრეწველობა კავკასიაში მხოლოდ ფეხს იკიდებს და ყველა იოლად გამდიდრებას ლამობს, ანუ როგორც სერგეი მესხი გაზეთ „დროებაში“ სწერდა: „ეს გამწარებული ფაციფუცი, ეს ძებნა ადვილად შესასრულებელი და ბევრი ფულების მომცემი საქმისა და შრომისა, ჯერაც არ დაწყნარებულა. ეხლაც არიან ისეთი პირნი, რომელთაც იმედი აქვთ, რომელნიც სცდილობენ აყალო მიწაში ოქროს მადნები აღმოაჩინონ, რომელნიც სხვადასხვა უსახელო კომპანიებს ადგენენ და სხვ.“. ერთს ასეთ მაგალითს ზიმენსის ამ მოგონებაშიც ვხვდებით. რომელიღაც ქართველ თავადს იგი დაუპატიჟებია და მერმე მთებში წაუყვანია მადნის საჩვენებლად. ზიმენსს საინტერესოდ აქვს აღწერილი კახელი თავადის ოჯახი, ნადიმი და მოგზაურობა. მაგალითად: სადილობისას თავადმა დანაჩანგალი უცხო სტუმრებს მიართვა, თვითონ და მისი ოჯახის წევრები კი თითებითა სჭამდნენ. სტუმრები გაკვირვებულნი არიან ლავაშით, რომელსაც ბაგეთა და ხელისსახოცადაც ხმარობდნენ. დიდი მოწონება აქვს მწვადს! ასეთივე თავგადასავალი აქვს მოთხრობილი სოხუმში ყოფნის დროიდანაც, როცა მას გრძელი და მძიმე, საშიში მოგზაურობა ჰქონდა წებელდაში მადნის სანახავად. მას განსაკუთრებით აკვირვებს ჩვენებური პატარა ცხენი, რომელიც ამ მძიმე მოგზაურობას ადვილად იტანს, და თავის მხედარს უვლის.

23 წლის შემდეგ ვერნერ ზიმენსი ისევ თბილისშია. ამ ხნის განმავლობაში თბილისი ძალიან არ გამოცვლილა, მაგრამ დაუკარგავს ძველებური იერი და ეხლა აღარ შეიძლება მას აზიური პარიზი დავუძახოთ. „ქალაქი იყო უწინ“, — ამბობს იგი, — „არა მარტო დიდი მთავარის რეზიდენცია, არამედ ქართველი თავადაზნაურობის საცხოვრებელი ადგილიც“ და განსაკუთრებით ზამთარში მხიარულება სუფევდაო. ეხლა სხვაა. „თბილისში აღარ არის დიდი მთავარი და წარჩინებული ქართველებიც თითქმის გაჰქრნენ. 25 წლის წინათ ქალაქი იყო კიდევ ქართული, საუკეთესო მამულები და ქალაქის თვითმართველობაც ქართველების ხელში იყო. მაგრამ უკვე მაშინ სომხებმა დაიწყეს გაფართოება და ნელნელა ადგილმამული (ქართველებისა) სომხების ხელში გადავიდა... თითქმის მთელი ქალაქის მფლობელობა სომხურია. გაჰქრენ ამაყი, ლამაზად იარაღში ჩამსხდარნი, ტანოვანი ქართველები თბილისის ქუჩებიდან, სომხები ცხოვრობენ მათ სასახლეებში და სომხები მართავენ დღეს ქალაქს“. აი, ასეთი დაკვირვებული მოგზაურია ვერნერ ზიმენსი, რომელსაც უკანასკნელად კიდევ უმოგზაურია, მაგრამ უკვე რკინიგზით და თბილის-ბაქო-მოსკოვ-პეტერბურგის გზით გერმანიაში დაბრუნებულა. მოსკოვი მისთვის აზიისა და ევროპის საზღვარია, მაგრამ უფრო ჭუჭყიანი და დაფლეთილი... „აზიაში, — სწერს იგი, — ტალახი და ძონძები ისე არ გიმღვრევს გულს როგორც აქ... ეს არის სწორედ დამახასიათებელი აზიური კულტურიდან ევროპულ კულტურაზე გადასვლისათვის. აზიელი, მიუხედავად ჭუჭყისა და ძონძებისა, ყოველთვის გვიჩვენებს ერთგვარ კაცურ ღირსებას, რომელიც ევროპიელს, თუ იგი ძონძებშია, სავსებით ეკარგება“.

ამ პატარა მოგონებებში, რომელიც სიამით იკითხება, მკითხველი შეხვდება არა ერთსა და ორ დაკვირვებას, რომელიც დღესაც თვალში გვხვდება. აქ არაფერია გადაჭარბებული, არც ქებაში და არც დაწუნებაში.

Ბ. ᲕᲐᲠᲓᲐᲜᲘ.

იცით თუ არა თქვენ?

... **რამდენი წლის შემდეგ გაცივდება პლანეტარულ სისტემაში არსებული ენერგიის უდიდესი წყარო?** ამისათვის დაახლოებით საჭიროა 8 მილიარდი წელი. რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს იმას, რომ კაცობრიობა იარსებებს ასე დიდხანს. დღემდე მზის ტემპერატურა დავიდა დაახლოებით 6800 გრადუსამდე ცელსით. მაშინ როცა დედამიწის საშუალო ტემპერატურა უდრიდა 50 გრადუსს ცელსით და შემცირდა 18 გრადუსამდე.

800.000 წლის შემდეგ მზის ტემპერატურა დავა 5300 გრადუსამდე ცელსით. ამ დროისათვის ჩვენი პლანეტა იმდენად გაცივდება, რომ დღევანდელ პირობებში და ფორმებში არსებული ცხოვრება შესაძლებელი გახდება მხოლოდ ეკვატორზე. ამგვარად მზე იარსებებს გაცილებით დიდ ხანს ვიდრე ჩვენი პლანეტა.

... **რომ სისხლი წარმოადგენს „გადამცემ საშუალებას?“** სისხლი ემსახურება ჟანგბადის განაწილებას სხეულის ყველა ნაწილში. სისხლის წითელი ბურთულები შეიცავენ ჰემოგლობინს, რომელიც სალებავი ნივთიერებაა და აგრეთვე ადვილად უერთდება ფილტვებში შემავალი ჰაერის ჟანგბადს. იგი ასევე ადვილად გადასცემს ჟანგბადს ქსოვილებს. ამგვარად სისხლის განუწყვეტელი ცირკულაციის დროს ჰემოგლობინი ფილტვებში იერთებს ჟანგბადს და სისხლის საშუალებით მიაქვს სხეულის ყველა ნაწილში. უკანასკნელები გამოიყენებენ ჟანგბადს სასიცოცხლო პროცესებისათვის. ფილტვებში უკან დაბრუნების დროს, ჰემოგლობინს მოაქვს ნახშირმჟავა, რომელსაც სცვლის ჟანგბადზე.

დაზვერვა...

აღმოსავლეთის ფრონტის ერთ უღრან ადგილზე...

საინტერესო თემაზე

„შეურაცხჰყოფის დღესასწაული“

ერთერთი იაპონელი მკვლევარი, რომელმაც იმოგზაურა იაპონიის ჯარების მიერ აღებულ აღმოსავლეთ აზიის ოლქებში, მოგვითხრობს იქაურ მკვიდრთა ჩვევების შესახებ. ინდოელი ტომი დრავიდებისა, რომელიც ბირმაში სცხოვრობს დღესასწაულობს მსოფლიოში ერთერთ დღესასწაულს, რომელსაც ეწოდება „შეურაცხჰოფის დღესასწაული“.

ამ დღეს ოჯახის ყველა მოზრდილი წევრი ერთად იყრის თავს, ვინაიდან მრავალმა მათგანმა უნდა გაიაროს შორეული გზა. შემდეგ ყველანი მიდიან ტომის უხუცეს წევრთან, ჰკეტავენ კარებსა და ფანჯრებს, მოაქვთ ბამბა და სანთელი და ერთმანეთს უკეთებენ ყურებში. ბამბასა და სანთელს ყურებში უკანასკნელად იცობს ტომის მეთაური. საოჯახო ტრაპეზის წინ უხმოდ წარმოსთქვამენ ლოცვებს.

დასასრულ, ტომის ყველა წევრი, წრისებურად სხდება იატაკზე. თვითეული მათგანი უკანასკნელი სიტყვით ულანძღება იმდენს, რამდენიც მას სურს. თვითეულ მათგანს უფლება აქვს აგინოს ტომის წევრი რა სალანძლავი სიტყვითაც სურს, სანამ თვითონ არ მობეზრდება. ყველა შეურაცხჰოფისათვის, რომელიც განიცადა ტომის რომელიმე წევრმა დამსწრე ნათესავისაგან, მას შეუძლია გადაუხადოს სამაგიერო ყველაზე მეტი სალანძლავი სიტყვით.

მას შემდეგ, რაც ტომის ყველა წევრმა გაათავა გინება, ტრაპეზის წინ ხელმეორედ წარმოსთქვამენ უხმო ლოცვას. ბოლოს გამოიღებენ ყურებში დაცულ ბამბას და სანთელს და ერთმანეთს მიმართავენ ჩვეულებრივად თითქოს არაფერი მომხდარიყოს. დღე თავდება იმით, რომ ყველანი ერთად ესწრებიან ლოცვას ეკლესიაში. დრავიდები გვარწმუნებენ, რომ ეს ჩვეულება მეტისმეტად დადებითად მოქმედებს ოჯახური ურთიერთობის სფეროში, რადგან თვითეული მათგანი თავს ჰგრძნობს პატიოსანად მეორის მიმართ.

<>

„ჩვენი დროის გმირი“

ასე უწოდა ერთმა ამერიკულმა გაზეთმა კინო არტისტს ჩარლი ჩაპლინს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს სახელი მას უწოდეს ამერიკელმა ებრაელებმა იმის გამო, რომ უკანასკნელი ეწეოდა დაუღალავ აგიტაციას ამერიკის სსრ კავშირთან დაახლოების მიზნით.

გასართობი

ჭადრაკი

ამოცანა № 2.
დოქტ. პალიცში.



შამათი ორ სვლაში
თეთრები: მფ. g1, ლ. h5, ეe8, კa1. (4)
შავები: მფ. d2. (1)

სავარჯიშო



მოცემული ოთხი გეომეტრიული მონაკვეთისაგან შეადგინეთ კვადრატი.



ეს სწორკუთხოვანი ნამცხვარი ისე გაჰყავით ოთხ თანაბარ ნაწილად, რომ თვითეულ ნაწილში მოხვდეს თითო კაკალი. (რა თქმა უნდა კაკლების გადაადგილება არ შეიძლება).



ამ სწორკუთხედში მოთავსებულ A,B C, სახლი მისასვლელი გზებით შესაბამისათ შეუერთეთ a, b, c, სამზარეულოებს ისე, რომ გზები არ გადაიჭრას.

—o—

მონახეთ ორი რიცხვი...

გამონახე ორი ისეთი რიცხვი, რომელთაგან ერთს რომ მიუმატოთ ერთი და მეორეს გამოვაკლოთ ერთი, მივიღოთ თანაბარი რიცხვები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პირველს მოვაკლებთ ერთს და მეორეს მიუმატებთ ერთს, მაშინ მეორე ორჯერ მეტი იქნება პირველზე.

<>

კოპენჰაგენის 500 წლისთავი.

კოპენჰაგენმა იზეიმა არსებობის 500 წელი. ქალაქი დაარსდა 1167 წელს. ეპისკოპოსმა აბსალონმა მაშინ ააგო ციხე-სიმაგრე. მეთევზეთა ნავსადგური „ჰავანი“ მოეწყო 1043 წელს. 1443 წელს დანიის მეფემ ქრისტეფორე მესამემ მისცა კოპენჰაგენს ქალაქის უფლება.

ჟამი უკანასკნელი მეფობისა

(გაგრძელება)

1800 წლის 28 დეკემბერს, გარდაიცვალა გიორგი მეთორმეტე. სებედისწერო იყო მისი გარდაცვალება ასეთ გაოამწვავეტ წუთში. გიორგის რომ ეცოცხლა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ათეულ წლებში, რუსეთი მას ძალით ტახტიდან ვერ გადმოაგდებდა და ქართლ-კახეთი შევიდოდა მეცხრამეტე საუკუნეში, როგორც სამეფო, რომელსაც დანარჩენი სამეფო და სამთავროები იძულებული იქნებოდნენ შეერთებოდნენ. ამგვარად მართლა შესაძლებელი იქნებოდა მთლიანი საქართველოს სამეფოს აღდგინა რუსეთის იმპერიის ფარგლებში, მაგრამ გიორგი მეთორმეტის სიკვდილს შედეგად სამეფოს სიკვდილი მოჰყვა, რადგან რუსეთმა ისარგებლა ამ უბედური მოვლენით და მის შვილს დავით ბატონიშვილს ნება არ მისცა ტახტზე ასულიყო რუსეთის ნებადაურთველად, თუმცა სოლომონ ლეონიძე ამას მოითხოვდა და ლანძღავდა ამის გამო დავითსაც, რის გამო იგი კიდეც დააპატიმრეს და შემდეგ გაიქცა ციხიდან იმერეთის მეფესთან. 1801 წლის 16 თებერვალს, გამოცხადდა იმპერატორ პავლეს მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ. მანიფესტი წაიკითხეს სიონის ტაძარში, რომელსაც გარს რუსული ჯარები ერტყა, და მან გამოიწვია დიდი აღშფოთება, ვინაიდან ამ მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო ისპობოდა. პეტერბურგში გაიგზავნა საპროტესტო დელეგაცია, რომელსაც უნდა მოეთხოვა მეფის დანიშვნა. მაგრამ 12 მარტს, 1801 წელს, იმპერატორი პავლე სასახლეში გადატრიალების შედაგად მოჰკლეს და მისმა მემკვიდრე ალექსანდრე პირველმა 1801 წლის 12 სექტემბერს დიდი ჭოჭმანის შემდეგ დაადასტურა ქართლ-კახეთის სამეფოს მოსპობა და რუსეთთან შეერთება.

ქართლ-კახეთის სამეფოს ნაცვლად დაწესდა „გრუზინსკოე პრავიტელსტვო“, მთავარმართებლად დაინიშნა გენერალი კნორინგი და სამოქალაქო საქმეების გამგედ —პრავიტელ გრუზიი —კოვალენსკი.

1803 წელს მთავარმართებლად დაინიშნა გენერალი პავლე ციციანოვი (ვახტანგ მეექვსესთან ერთად რუსეთში გადასახლებული დიმიტრი ციციშვილის შვილი), რომელმაც ლახვარი ჩასცა ქართულ სამეფოს იმით, რომ სამეფო ტახტის მემკვიდრე დავითი და საერთოდ ბაგრატიონები რუსეთს გადაასახლა. (ამ გადასახლების გამო გიორგი მეთორმეტის ქვრივმა მარიამ დედოფალმა მოჰკლა გენერალი ლაზარევი). მრავალი ბაგრატიონი, რომელთა რიცხვი ადიოდა ოთხმოცდაათამდე, ზოგი ძალით, ზოგი ნებით წავიდა რუსეთს, ხოლო ზოგიერთმა იარაღს მოჰკიდა ხელი რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთმა კი შემოიღო რუსული ადმინისტრაცია, ქართული კანონმდებლობა შესწვალა რუსულით, სკოლებში შემოიღეს რუსული ენა, მოისპო ქართული ფულიც და 1811 წელს მოსპეს ქართული დამოუკიდებელი ეკლესიაც და მის გამგედ დაინიშნა „ეკზარხ გრუზიი“.

რუსეთ-ქართლ-კახეთის ხელშეკრულების დარღვევა და ასეთი განსაკუთრებული ნგრევა ქართლ-კახეთის ცხოვრებაში დანარჩენი ქართული სამეფო-სამთავროებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ქართული სამთავროები შემდეგში მაინც სდებდნენ ხელშეკრულებას რუსეთთან. ეს გამოწვეული იყო მხოლოდ ერთი მოსაზრებით: იქნებ მე გადავრჩეო!

რუსეთმა მოიკიდა ფეხი საქართველოს გულზე — ქართლ-კახეთში და ცხადია, გასრესას ვერ ასცდებოდა ვერც იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი თუ აფხაზეთი. და წყალწაღებულნი ხავსს მოეკიდნენ: ხელშეკრულების მეოხებით მოინდომეს თავის გადარჩენა. ზოგიერთ შემთხვევაში ეს პოლიტიკა დროებით მაინც გამართლდა.

განსაკუთრებულ მდგომარეობაში იყო იმერეთის სამეფო, რომელიც რუსეთის წინააღმდეგი იყო, მაგრამ მაინც იძულებული გახდა მასთან ხელშეკრულება დაედო, თუმცა ამავე დროს იმერეთის მეფე სოლომონ მეორე რუსეთის წინააღმდეგ მომხრეებს ეძებდა და პოულობდა კიდეც აზერბაიჯანის სახენოებში, თურქ ფაშებთან და თურქეთის მთავრობასთან.

1810 წლის 20 თებერვალს, რუსებმა იმპერატორის სახელით სოლომონ მეორე ტახტიდან გადააყენეს და რუსული მმართველობა შემოიღეს, ხოლო სოლომონ მეორეს მოლაპარაკება გაუმართეს, თბილისში მიიტყუეს და იქ დაიჭირეს; მაგრამ მეფე, თავისი მოსამსახურის თანსაცმელში გადაცმული გაიპარა და გაიქცა 22 მხლებელთან ერთად ახალციხის ფაშასთან, აქედან შეიჭრა ისევ იმერეთში და დაიწყო ომი რუსეთ-იმერეთს შორის, რომელიც სოლომონ მეორის დამარცხებით დასრულდა. მეფე გარდაიხვეწა თურქეთს, გარდაიცვალა ტრაპეზონში 1815 წლის 7 თებერვალს; იმერეთის სამეფო კი გაყოფილ იქმნა ექვს ადმინისტრატულ ნაწილად, რომელთაც რუსის მოხელენი განაგებდნენ.

ვ. ნოზაძე.

(დასასრული იქნება)

მთავარი რედაქტორი
ახმეტ. გაი მადაურიძე
რედაქციის მისამართი:
Georgische Zeitung „Sakarthwelo“.
Berlin W 8, Behrenstraße 65, III.

Deutscher Verlag, Berlin.
ქართული სტამბა: არჩილ მეტრეველისა.